

ანა ხურცილავა

თანამედროვე ქართული საბანკო ტერმინოლოგიის პრობლემები

ბანკები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, მთლიანად სახელმწიფოს განვითარებაში.

დღემდე კამათობენ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როდის წარმოიშვა პირველი ბანკი, ან როდის განხორციელდა პირველი საბანკო ოპერაციები. ბანკი კი იტალიური სიტყვაა (banco) და მაგიდას ნიშნავს. ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდამდე საბერძნეთში „ტრაპეზიტები“ ეწოდებოდათ პირველ ათენელ ბანკირებს (trapeza – „მაგიდა“). ძველ რომში კი მათ „მენსარიებს“ (ლათ. mensa – „მაგიდა“) უწოდებდნენ, ხალხმრავალ ადგილებში განსაკუთრებულ მაგიდებთან ისხდნენ და მონეტების გადაცვლით შემოიფარგლებოდნენ, შემდგომ მათი ფუნქციები გაიზარდა და სხვა ოპერაციებს ასრულებდნენ (ცაავა, ხანთაძე, 2014 : 14, 17).

საქართველოში ჩვ.წ.-ამდე IV-V საუკუნეებში ჩნდებიან მევახშეები და ზარაფები იბერიასა და კოლხეთში.

მიუხედავად უძველესი ისტორიისა, საბანკო საქმიანობის ჩამოყალიბება XIX საუკუნეს უკავშირდება. პირველი საკრედიტო ინსტიტუტი 1810 წელს დაარსდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ბანკები მასობრივად იქმნება.

აღსანიშნავია თბილისის, მოგვიანებით კი ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსება, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვანი ედგნენ. ილიამ თავისი ცხოვრების ოცდაათი წელიწადი ბანკის ხელმძღვანელობას მიუძღვნა.

ბანკის უმთავრეს დანიშნულებად ილიას ეროვნული კეთილდღეობისთვის ხელის შეწყობა და არა კერძო ინტერესების დაცვა მიაჩნდა. „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოდი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს. იმ ღარიბთა, რომლებიც რო-

მელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივწულან და არა იმით, ვინც გულაღმა წვანან, გულზე ფაფუკი ხელები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან, მასვით და მაჰამეთო“, – აღნიშნავდა იგი (ჭავჭავაძე, 1875 : 2).

ილია გამოყოფდა კრედიტის სახეებს ხასიათისა თუ დანიშნულების მიხედვით. მაგ., სასოფლო მეურნეობის, ანუ საადგილმამულო კრედიტი, სამეურნეო, მიწისსამოქმედო (Земельный), იგივე სამიწათმოქმედო კრედიტი და სხვა. ამ უკანასკნელის მთავარი დანიშნულება მიწათმოქმედების ხელშეწყობა, მისი გაძლიერება გახლდათ. სამიწათმოქმედო კრედიტი თავისთავად იყოფოდა: გრძელ და -მოკლევადიან კრედიტებად. „კრედიტი, – წერდა ილია, – ეკონომიურის თვალთ გასინჯული, ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდან მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად“ (სართანია, 1999 : 57).

გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძემ საზოგადოების ყველა ფენისთვის მისაღები საბანკო სისტემა შექმნა, მისი ღვაწლი ეკონომიკური ტერმინების გაქართულებისა თუ შედგენის მხრივაც საკმაოდ დიდია. რუსული ენიდან სესხებითა თუ გადმოქართულებით მან შემოიტანა: **მოხელე** – чиновник, **საქონელი** – товар, **ძალი ყიდვისა** – покупательная сила, **ბაზარი** – рынок, **ყადაღა** – запрещение, **ფასი** – Цена, **ღირებულება** – Ценность, **მიწათმოქმედება** – земледелие, **აღებ-მიცემობა** – обмен, **სოფლური მეურნეობა** (დღევანდელი სოფლის მეურნეობა), **მოთხოვნილება** – требование, **გადასახადი შემოსავლისა** – подходящий налог და სხვა (ღამბაშიძე, 1987 : 28).

ილია იყენებდა საერთაშორისო ტერმინებსაც: **აქცია**, **ობლიგაცია**, **ოპერაცია**, **ფირმა**, **ბანკირი**, **აქციონერი**, **ფინანსისტი** და ა.შ. ასეთ შემთხვევებში იგი ძირითადად განმარტავდა ან საჭიროებისამებრ ქართული ლექსიკური შესატყვისის გვერდით მიუწერდა უცხო ტერმინს: მაგალითისთვის, „აქციები , ანუ პაი“, „ობლიგაცია ანუ გირავნობის ფურცელი“, „აღებ-მიცემობის კონვენცია ანუ ხელშეკრულება“ და სხვა (ვაშაკიძე, 2005: 39-43). იყო შემთხვევებიც, როცა ცვლიდა ენაში არსებულ ტერმინებს: „აზრის ადვილად გაგებისთვის სიტყვას „ფულსა“ ვხმარობ და არა „თავნსა“ (ვაშაკიძე, 2005 : 20). ასევე განმარტავდა ტერმინებს: „განაღდება ანუ ფულად ქცევა“, „ვაჭრობა – ეკონომიკური მოქმედება აღებ – მიცემობისა“, „გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია“, „საქონელი – მოჭარბებული სარჩო“ და სხვა (ვაშაკიძე, 2005 : 39, 43).

ილია ჭავჭავაძის ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითადი პრინციპი გახლდათ: 1) ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ამოქმედება; 2) ქართული და უცხოენოვანი ტერმინოლოგიური მასალის მიხედვით ახალი ტერმინების შემუშავება; 3) საერთაშორისო ტერმინების სესხება (ვაშაკიძე, 2005 : 46)

იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა ცალკეულ მწერალთა მიერ შემოღებული ტერმინებიც. დ. ყიფიანის თხზულებებში გვხვდება: **მებატონე** – помещик, **მოსახლეობის აღწერა** – перепись населения, **სამსახური** – служба, **სასოფლო ეკონომია** – сельское хозяйство, **სარგებლობა** – выгода, **ქირით მუშაობა** – вольнонаемная работа, **შემოსავალი** доход, **სარგებელი** – проценты, **ხარჯები** – издержки.

გ. წერეთლის თხზულებებში: **სავაჭრო** – товар, **მხვნელ-მთესველი** – землепосец და სხვა. ნ. ნიკოლაძესთან: **საქონელი** – товар, **შრომის განაწილება** – разделение труда, **შრომის ნაყოფი** – результат труда, **ფლანგვა** – расточительство, **ეკონომიური სამართლიანობა** – экономическая справедливость, **მომატებული ფასი** – дополнительная плата, **საზოგადო მიწის მფლობელობა** – обшинное землевладение, **ამოგება** – выручка, და სხვა (გუგუშვილი, 1971 : 165-166).

როგორც ვხედავთ, ამ საკითხისადმი საკმაოდ პრინციპული მიდგომა ჰქონდათ მე-19 საუკუნის დიდ მოაზროვნეებს. ილია აქტიურად მონაწილეობდა იმხანად შექმნილ ტერმინოლოგიის კომისიაში და მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მუშაობდა ამ მიმართულებით.

მართალია, ზემოთ აღნიშნული სიტყვების მხოლოდ ნაწილი დამკვიდრდა ენაში, თუმცა ილიასა და მისი თანამედროვეების ღვაწლი სოციალურ-ეკონომიკურ თუ, ზოგადად, სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში, უდავოდ, განსაკუთრებულია.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნის დასაწყისში ტერმინოლოგიაზე მუშაობის პროცესიც. შეიქმნა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, დაიწყო ტერმინოლოგიის შემუშავება. გამოქვეყნდა ცალკეული დარგობრივი ლექსიკონები, კონკრეტულად ეკონომიკის სფეროში გამოცემული გახლდათ: „მოკლე სააღრიცხვო ტერმინოლოგია“, (1942); „რუსულ-ქართული სააღრიცხვო ტერმინოლოგია“ (1946); „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (1947).

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ საბანკო სისტემის მიმართულებით რეფორმების საკმაოდ რთული გზა განვლო. ცხადია, ეს პროცესი ენაშიც აისახა. შესაბამისად, საბანკო საქმის, როგორც თეორიული დისციპლინის შესწავლა, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით შესასწავლია ასევე უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები.

ჩვენთვის, როგორც ენის სპეციალისტებისთვის, საყურადღებოა ტერმინები, რომლებიც ენის ნორმების უხეში დარღვევით, მაგრამ მაინც მკვიდრდება ან უკვე დამკვიდრებულია. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში ახლადდამკვიდრებულ ტერმინებს ქართულში შესატყვისი არ მოეპოვება, მაგრამ მათი პირდაპირი გადმოტანა მიზანშეწონილი არ არის და ენას ამახინჯებს.

ამ თვალსაზრისით განვიხილეთ უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები. ერთმანეთს შევუდარეთ „საბანკო საქმე“ (ცაავა, ხანთაძე, 2014) და „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ (კოვზანაძე, კონტრძე, 2014), ასევე საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში საბანკო საქმის სალექციო კურსი, რომელიც ინტერნეტ-სივრცეშია ხელმისაწვდომი.

ორივე სახელმძღვანელოში დასტურდება მრავალი უცხოენოვანი ტერმინი, რომლებიც პირდაპირაა გადმოტანილი ქართულში: მაგალითისთვის, **ფიუჩერსი** (ინგლ. futures), **სვოპი** (swap), **სპოტი** (spot), **ჰეჯირება** (hedging), **დისკონტი** (discount), **ოვერნაიტი** (overnight), **ოვერდრაფტი** (overdraft), **ფორფეტირება** (forfeiting), **თარგეთირება** ან **ტარგეტირება** (targeting), **ინსაიდერი** (insider), **ინტერვენცია** (intervention), **კორელაცია** (correlation), **პროფიციტი** (proficits) და სხვა. ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოებში ტერმინი targeting დასტურდება ფორმით **თარგეთირება**, ხოლო სალექციო კურსში კი – **ტარგეტირებად**. დასაზუსტებელია **ფორფეტირება** თუ **ფორფეტირება**, **ოპციონს put** და **ოფციონს call** (ლექციების კურსი, 2013 : 150) თუ **ოფციონი ყიდვაზე** და **ოფციონი გაყიდვაზე**? **ოფციონი ყიდვაზე** განიმარტება: „ოფციონის გამყიდველი გამოწერს ოფციონს აქტივის ყიდვაზე, ხოლო მყიდველი იღებს უფლებას გაყიდოს ეს აქტივი“; „ოფციონი გაყიდვაზე“ – „ოფციონის გამყიდველი გამოწერს ოფციონს აქტივის გაყიდვაზე, ხოლო მყიდველი იღებს უფლებას, იყიდოს ეს აქტივი.“ (კოვზანაძე, კონტრძე, 2014: 423). უცხოენოვან ტერმინთა გაფორმების საკითხიც დასაძლევია.

ზემოთ ხსენებულ ტერმინებს არ აქვს ზუსტი ქართული შესატყვისები, თუმცა არის შემთხვევებიც, როცა ქართულში არსებობს, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ უცხო ტერმინს. კერძოდ, ჩვენში უკვე კარგად დამკვიდრებულ შესიტყვებას **საბანკო საქმეს** ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძის წიგნში **ბანკინგი** ანაცვლებს (ინგლისური სიტყვიდან – banking, რომლის პირდაპირი თარგმანია „საბანკო საქმე“). შეგვიძლია ასევე განვიხილოთ **სატრასტო ოპერაციები**, რომელიც იმავე სახელმძღვანელოში თარგმნილია, როგორც **ნდობითი ოპერაციები**. კერძოდ, "ფინანსური აქტივების მოცულობის გაზრდის შესაბამისად კომერციული ბანკები აფართოებენ ნდობითი (სატრასტო, ინგლისურიდან ტრასტი – ნდობა) ოპერაციების განხორციელებას" (ცაავა, ხანთაძე, 2014 :266). აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეთავი, რომელშიც **ნდობით ოპერაციაზეა** საუბარი, დასათაურებულია, როგორც **სატრასტო ოპერაცია**. როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე მოვლენის აღსაწერად როგორც უცხოენოვანი, ასევე ქართულენოვანი ტერმინები გამოიყენება.

გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება ამგვარი მიდგომა. ერთი მხრივ, უცხო სიტყვის ქართული შესატყვისით ჩანაცვლება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა იმავდროულად მის გვერდით უცხო ტერმინის არსებობა არავითარი შედეგის მომტანი არაა და ენისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მსგავსი დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ ამახინჯებს ენას და ქმნის საშიშროებას, არათუ ვეძიოთ ქართული შესატყვისები, არამედ უკვე დამკვიდრებულიც უარვყოთ. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია.

სახელმადღვანელოებში ძირითადად მოცემულია განმარტებები იმ ტერმინებისა, რომელთა ქართული შესატყვისებიც არ მოგვეპოვება. მაგალითად, **სპოტი** განმარტებულია, როგორც „უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია მიმდინარე საბაზრო სპოტ – კურსით დაუყოვნებლივი ანგარიშსწორების პირობით“; **სავალუტო ფორვარდი** – „უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟის გარეშე“, **სავალუტო ფიუჩერსი** – „უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფაქსით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით“ (ცაავა, ხანთაძე, 2014 : 442). **ოვერდრაფტი** – „წარმოდგება ინგლისური სიტყვისგან Overdraft, რაც კრედიტის გადამეტებას, გადახარჯვას ნიშნავს, ანუ ოვერდრაფტი ესაა თანხა, რომლის ფარგლებშიც კომერციული ბანკი აკრედიტებს მსესხებლის მიმდინარე ანგარიშს“ (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014: 347).

ცალკე შეიძლება განვიხილოთ **სავალუტო სვოპი**. განიმარტება, როგორც „ორ მონაწილეს შორის ერთი და იმავე ვალუტით ერთდროულად (ერთი სავაჭრო დღის განმავლობაში) დადებული ორი სავალუტო გარიგება, ვალუტის მიწოდების სხვადასხვა თარიღითა და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა კურსით“ (ცაავა, ხანთაძე, 2014 :219). აღნიშნული **სავალუტო სვოპი** იგივეა, რაც ინგლისური Currency swap, რომელიც განიმარტება, როგორც გაცვლა, სავალუტო ოპერაციები. **სავალუტო სვოპი** კი პირდაპირი კალკია რუსული валютный своп-ისა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზუსტი თარგმანი, წიგნში მაინც კალკია გამოყენებული.

უცხოენოვანია ტერმინი **ლიზინგი** (ინგლ. Leasing – „გაქირავება“). აღსანიშნავია, რომ იგი სხვადასხვაგვარად განიმარტება. კერძოდ, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „უმეტეს შემთხვევაში ლიზინგი განიმარტება, როგორც მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი არენდა (იჯარა). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში **ლიზინგი** განიმარტება, როგორც „კრედიტ-არენდა“, „არენდის ფინანსირება“ ან „ფინანსურ არენდასთან დაკავშირებული ოპერაციები“ (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014: 452). აქვე: „თავისი ფართო გაგებით ლიზინგი არის განსაკუთრებით ურთიერთობების რთული კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია ქონების შეძენასა და მის შემდეგ გადაცემასთან დროებით სარგებლობაში გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე“ (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014 : 453).

მეორე სახელმძღვანელოში: „კომერციული ბანკების საქმიანობაში ოპერაციების იჯარით ანუ ლიზინგით (ინგლ. Leasing – არენდა) განხორციელებამ საკმაო განვითარება მიიღო... **ლიზინგის** ყველაზე უფრო გავრცელებული განმარტებაა – „შეთანხმება, რომლის დროსაც ერთი მხარე (ლიზინგის გამცემი) თავისი საქმიანობის ჩარჩოებში ვალდებულებას იღებს, მეორე მხარეს (ლიზინგის ამღები) მიაწოდოს მოძრავი ან უძრავი ქონება რისკთან ერთად, რომელიც განსაზღვრული პერიოდით შეთანხმებულ საიჯარო გადასახადზე პასუხისმგებლობის უფლებასთან არის დაკავშირებული“ (ცაავა, ხანთაძე, 2014: 242-243).

მართალია, კონკრეტულად **ლიზინგის** ერთი განმარტება არ არსებობს, თუმცა მისი სახეობების სახელწოდებები, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ცნების აღმნიშვნელია, ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითისთვის, **ოპერაციული** ან **ოპერატიული ლიზინგი**. ამ

ორ ტერმინს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. კონკრეტულად, „ოპერატიული (სერვისული) ლიზინგი – Serving operating leases – წარმოადგენს საჯარო დამოკიდებულებას, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემის ხარჯები არ იფარება საიჯარო გადასახადით ერთი ლიზინგული კონტრაქტის განმავლობაში“ (ცაავა, ხანთაძე, 2014 : 253).

წიგნში „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ მოცემულია **ოპერატიული ლიზინგის** განმარტება: „საჯარო ურთიერთობა, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ლიზინგის ობიექტის შეძენასა და შენახვასთან, არ ანაზღაურდება სრულად ერთი სალიზინგო კონტაქტის ფარგლებში“ (კონტრაძე, კოვზანაძე, 2014 : 456).

განმარტებულია უცხოენოვანი ტერმინი **ფაქტორინგი** (ინგლ. Factor – „შუამავალი“, „სავაჭრო აგენტი“): „საშუამავლო ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია ფაქტორ-კომპანიის მიერ თავისი კლიენტისაგან მისი კონტრაგენტისადმი ფულადი მოთხოვნების (ანგარიშ-ფაქტურების) გამოსყიდვასთან“ (ცაავა, ხანთაძე, 2014 :263). ქართული შესატყვისის არარსებობა მოითხოვს ტერმინის განმარტებას, თუმცა იმგვარი განსაზღვრება, რომელიც კიდევ უფრო აბუნდოვანებს აზრს, მიზანშეწონილი არ არის.

საინტერესო იყო ინტერნეტსივრცეში განთავსებული ეკონომიკური ლექსიკონის, ე.წ. ეკონომიკური გლოსარიუმის შესწავლა ამ კუთხით. იგი საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ შეიქმნა და დაახლოებით 150-ამდე ტერმინის განმარტებას შეიცავს. აქაც საკმაოდ დიდი ნაწილი უცხოენოვანია. მაგალითად, **დეფლაცია** (deflation) განმარტებულია – „ფასების საერთო დონის დაწევა“; **დივიდენდი** (dividend) – „თანხა, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა ერთ აქციაზე აქციების მფლობელებისთვის, დივიდენდი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს აქციისგან მიღებული მოგების ნაწილს“; **ინტერვენცია** (intervention) – „ამა თუ იმ ეკონომიკური სუბიექტის ერთჯერადი ზემოქმედება ბაზარზე. მაგალითად, ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვის მკვეთრი გაზრდა“; **ლევერიჯი** (leverage) – „ნასესხები ფონდების გამოყენება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ამონაგები სუფთა მოგებიდან. ასეთ შემთხვევაში ელიან, რომ დაწესებული საპროცენტო განაკვეთი უფრო მცირე იქნება, ვიდრე შემოსავალი ნასესხები ფულიდან...“; **პროფიციტი** (proficits) – „ბიუჯეტის მიმდინარე პროფიციტი არის თანხა, რომლის მთლიანი შემოსავალი სჭარბობს მთლიან დანახარჯებს“; **კორელაცია** (correlation) – „რაიმე მოვლენის

შესაბამისად ეკონომიკური პარამეტრების ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება“; **ინვესტიციას** (investment), რომელიც ჩვენს ენაში უკვე დამკვიდრდა ინგლისურენოვანი სახელწოდებით, ფრჩხილებში მიწერილი აქვს ქართული შესატყვისი – **კაპიტალდაბანდება**. სამწუხაროდ, აქაც შეინიშნება მსგავსი ტენდენცია, დატოვონ ენაში უცხოენოვანი ტერმინი და ამავდროულად დაამკვიდრონ ქართულენოვანიც.

ამ საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლიდით ბანკებსა და საბანკო ოპერაციებში გამოყენებულ ტერმინებს. დღესდღეობით საქართველოში 20-ამდე ლიცენზირებული ბანკია. რასაკვირველია, თითოეულ მათგანს საკუთარი ფუნქციები და ოპერაციები, ამასთან, საქმიანობისადმი საკუთარი მიდგომა აქვს. თითოეული გვთავაზობს საბანკო პროდუქტებს, რომელთა შორისაა პლასტიკური ბარათები, ანაბრები, ავტოსესხი, ვადიანი და ზრდადი დეპოზიტი თუ სხვა. ბუკლეტებზე, რომლებიც თითქმის ყველა საბანკო დაწესებულებაშია ხელმისაწვდომი, ხშირია უცხოენოვანი სახელწოდებები. მაგალითისთვის, საბანკო ბარათების სახელწოდებები – American Express Card, American Express Reward Card, American Express Blue Card, Visa Electron, Express Card Debit, Privee Platinum, Dream Card Classic, My Card Classic და სხვა.

ბუკლეტებში ასევე მითითებულია, როგორაა შესაძლებელი ამა თუ იმ ოპერაციის შესრულება. განვიხილოთ რამდენიმე, რომლებიც ენის თვალსაზრისითაა საინტერესო. მაგალითად, „ლიბერთი ბანკის“ ბუკლეტზე მოცემულია, თუ სად შეიძლება ყველა სახის ფულადი გზავნილის განაღდება და გაგზავნა: „ფულადი გზავნილის გაგზავნა და განაღდება შეგიძლიათ საქართველოს ნებისმიერ წერტილში, ლიბერთი ბანკის 629 ფილიალსა და წარმომადგენლობაში, მათ შორის, ლიბერთი ექსპრესის 112 მობილურ სერვის ცენტრში და 273 ფიი ექსპრესის მომსახურების წერტილში“. ინგლისური სახელწოდება – **ფიი ექსპრეს** ქართული ასოებითაა მოცემული, განსხვავებით ბარათების ინგლისურენოვანი სახელწოდებებისა. ასევეა კიდევ ერთ ბუკლეტზე: „...დამატებით შეგიძლიათ გადაიხადოთ სხვადასხვა გადასახდელი 300-მდე პროვაიდერთან“. **პროვაიდერი** ქართულად გაფორმებული უცხო სიტყვაა. იქვეა წარმოდგენილი ე.წ. **eLoan სესხი**. ამგვარად, გაუგებარია, რა პრინციპით არჩევენ უცხოენოვან სახელწოდებებს – რატომ ტოვებენ ერთგან უცხოენოვან დაწერილობას, როგორც ეს ბარათების შემთხვევაში ვიხილეთ ზემოთ, ხოლო მეორეგან ქართული ასოებით წერენ ისევ უცხო სახელწოდებას.

აქვე დავძენთ, რომ ბანკმა „რესპუბლიკამ“ ახლახან შემოიტანა ახალი ტერმინი – **მოხელფასე**, რომელიც აღნიშნავს ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართულ ორგანიზაციებს. სხვა დაწესებულებებში, მაგალითისთვის, „საქართველოს ბანკში“ მას ეწოდება **სახელფასო პროგრამაში ჩართული**. მისასალმებელია ქართული ტერმინის შემოღება, თუმცა კარგი იქნებოდა არა ცალკეული ბანკების, არამედ ერთობლივი მუშაობის შედეგი ყოფილიყო ენაში ახალი სიტყვის დამკვიდრების მცდელობა.

ცხადია, ქაოსური მდგომარეობა, რომელიც საბანკო სფეროში ტერმინების შექმნისა თუ დამკვიდრების კუთხით წარმოიშვა, მეტ ყურადღებას მოითხოვს. თვითნებურად ტერმინების შემოტანას, დაწერვას, მით უფრო, არაერთგვაროვანი მიდგომით, ენისთვის საგანგაშო შედეგები მოაქვს.

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი სწორი და მისაღები გამოსავლი ენათმეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების ერთობლივი მუშაობა შეიძლება იყოს.

ლიტერატურა

გუგუშვილი, 1971 – პ. გუგუშვილი, მეცნიერული თარგმანი და სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია, სოციოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1971.

ვაშაკიძე, 2005 – ი. ვაშაკიძე, თბილისი, 2005.

კოვზანაძე, კონტრიძე, 2014 – ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე : თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014.

სართანია, 1999 – ტ. სართანია, ილია ჭავჭავაძე საადგილმამულო ბანკისა და კრედიტის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი.

ღამბაშიძე, 1987 – რ. ღამბაშიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ტერმინოლოგია, მეცნიერება და ტექნიკა, # 10, თბილისი.

ხანთაძე, ცაავა, 2014 – გ. ცაავა, გ. ხანთაძე, საბანკო საქმე, თბილისი, 2014.

ჭავჭავაძე, 1875 – ი. ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული 3 თებ. თფილ. თავადაზნაურობის კრებაზე, „დროება“, #16, თბილისი, 1875.

Ana Khurtsilava

Problems Of Modern Georgian Banking Terminology

Summary

The correct usage of terms is very important not only in banking, but in any field of science. The origin of banking can be traced back to the ancient world. First bankers were so called “trapezits”. In IV-V centuries usurers and moneychangers appeared in Georgia.

The article concerns the importance of terminology work and reminds us Ilia Chavchavadze and his contemporaries’ – N. Nikoladze, D. Kipiani, G. Tsereteli – great work in compiling the terminology of banking. Number of words were taken by lending or just translating from Russian. For example, official – чиновник, item – товар, costs – Цена, value – Ценность et cetera. Share, obligation, firm, banker are the part of international words Ilia used to use. Thinkers of 19th century had very principal attitude towards the question of terms. They tried to translate foreign terms to become familiar with Georgian language and sound like native words.

The modern situation in terminology of banking is clearly seen in text-books, in specific banking operations. We have compared text-books of banking taught at universities. The study showed that the situation is not satisfactory. You can see different names for the same terms in different books. It’s worth to mention here that in cases of having the right equivalent of the term in Georgian, they prefer to use foreign ones. Sometimes both variants are written, Georgian in brackets. Mostly the terms are taken from English without translating and the way they are formed in Georgian, also differs. One can see **Pay Express** (pie ekspresi), **Provider** (provaideri), (written in Georgian letters), while eLoan სესბო is written in both – English and Georgian languages.

Unfortunately, the attitude of thinkers of 19th century differs from the modern attitude. Obviously, the way out of this chaotic situation is the cooperation of linguists and subject field experts.